საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990114926852920

№10/909 **05 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი წერილი (N2039/01 24.02.2020), რომელიც ეხება "დაბა სურამის გენერალურის გეგმის" პროექტსა და სკოპინგის განცხადებას.

წერილის დანართით წარმოდგენილია შპს "ურბანიკა"-ს მიერ შემუშავებული "დაბა სურამის გენერალური გეგმის განვითარების კონცეფცია" და "დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში".

გენერალური გეგმის განვითარების კონცეფციისა და სკრინინგის ანგარიშის მიხედვით (პ. 4), არსებული გამოწვევების გადაჭრისა და დაბა სურამში საცხოვრებლად უკეთესი გარემოს შექმნის მიზნით შემუშავებული კონცეფციების (სულ 18 კონცეფცია) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ტურისტული პოტენციალის განვითარება, რაც უდაოდ, მნიშვნელოვანი ფაქტორია დაბის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ტურისტულ ერთიან სტრუქტურაში ჩასართავად მოაზრებულია "სურამის ციხე" და "ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი". ანგარიშში, თითოეული კონცეფციის მიხედვით (პ. 5; პ.7; პ. 8;) წინასწარულად შეფასებულია ასევე არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებაც, თუმცა ძირითადად აღნიშნულია, რომ ამგვარი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ცალკეულ შემთხვევებში კი დაბალია. აღნიშნული საკითხი ასახულია ასევე სგშ-ის პროცესში ჩასატარებელი საბაზისო კვლევების შესახებ ზოგად ინფორმაციაში (პ. 10), შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩამონათვალსა (პ.11) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის სავარაუდო შინაარსში (პ.12).

აქვე უნდა ითქვას, რომ დაბა სურამში, გარდა ზემოაღნიშნული ორი ობიექტისა, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს სხვა ნაგებობებსაც (ეკლესიები, საცხოვრებელი სახლი და ა.შ.), თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში საერთოდ არ არის განხილული აღნიშნული სტატუსის მქონე ობიექტები და არც განაშენიანების გეგმის მათზე შესაძლო ზემოქმედებაა შეფასებული.

ვფიქრობთ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტი/ექსპერტები, რათა სათანადოდ იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია პროექტის განხორციელების მთლიან არეალში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენის, შესწავლისა და შედეგების სათანადო აღწერა/შეფასების შესახებ.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე